E-book ნევროლოგიური გასინჯვა ნევროლოგიის შემსწავლელთათვის

2021 წლის მაისი

ინგლისური და გერმანული გამოცემის ავტორი - პროფ. კლაუს ტოიკა-გერმანია

ქართული ვერსიის ავტორი- ნევროლოგი მადონა სეხნიაშვილი, **რედაქტორი**-პროფ. ნანა კვირკველია, ფსიქიატრ ქეთევან სილაგაძის მონაწილეობით, თბილისი

Manual of the Neurological Examination- for Neurologists in Training
ინგლისური გამოცემა 2021 წ. აპრილი, ქართული თარგმანი- 2021 წ. მაისი.

გერმანელი და ამერიკელი ავტორები: პროფ.კლაუს ტოიკა, პროფ. ჯოზეფ კლასენი, ექიმი ლოგან შნაიდერი, პროფ. დოროთი ზაუერი, პროფ. იზაბელა ჰოიზერის და ბენუშ ბენიას (ფსიქიატრია) თნამონაწილეობით

როგორ გაჩნდა წიგნის იდეა?

წიგნის იდეა განაპირობა ახალგაზრდა ნევროლოგებისთვის ნევროლოგიური გასინჯვის საბაზისო ტექნიკის სწავლების აუცილებლობამ. ბევრ განყოფილებაში, გამოცდილი ნევროლოგის მიერ, ახალგაზრდებისთვის პაციენტის ნევროლოგიური გასინჯვის სწავლება ზოგჯერ არასაკმარისია. უფრო მეტიც, ზოგად სამედიცინო სკოლებში ნევროლოგიური გასინჯვა სიღრმისეულად თითქმის არ შეისწავლება.

ცნობილია, რომ ვიდრე სამუშაო დიაგნოზს შეიმუშავებდნენ, ნევროლოგები ხშირად მიმართავენ თანამედროვე კვლევის მეთოდებს, თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიას, ულტრაბგერით და ელექტროფიზიოლოგიური კვლევის მეთოდებს, ლაბორატორიულ ანალიზებს, რაც არაა მართებული. ამ ტესტების შერჩვა უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნევროლოგიური გასინჯვის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდება კლინიკური და დიფერენციული დიაგნოზი.

ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (2011-2020) ექიმ 2013 წელს მე და ექიმი შნაიდერი გავერთიანდით იდეით - შეგვექმნა სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა საბაზისო ინფორმაციას ნევროლოგიით დაინტერესებული სტუდენტების და ახალგაზრდა ექიმებისთვის, ასევე იმ არანევროლოგებისთვისაც, რომლებსაც აინტერესებთ ნევროლოგიური გასინჯვის არსი. გერმანიის ქალაქ ვურცბურგის ნევროლოგიური კლინიკის დირექტორად და ნევრილოგიის მიმართულების ხელმძღვანელად მუშაობის განმავლობაში პროფესორ კლასენთან ერთად შევიმუშავე სილაბუსი, რომელმაც სტუდენტებს და რეზიდენტებს შორის მოწონება დაიმსახურა. შდეგად გაჩნდა იდეა იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ეარსება თანამედროვე ფორმატის e-book-ს, რათა არსებული ტექნოლოგიების პირობებში, ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით,

მკითხველს რეალურ დროში, პაციენტის სიახლოვეს, თითის ერთი მარტივი შეხებით შუძლია ფოტო მასალასთან ერთად გაეცნოს თალსაჩინო ვიდეო მაგალითებსაც. კვლავაც შესაძლებელია წიგნის ტექსტების გავრცობა და ახალი ვიდეოებით შევსება.

e-book-ის ინგლისურ და გერმანულ გამოცემებს აქვთ გერმანიის ნევროლოგიური საზოგადოების (DGN), ასევე ევროპის ნევროლოგთა აკადემიის (EAN) (2016-2019 წლებში) ფინანსური მხარდაჭერა.

დასაწყისიდანვე ამ საგანმანათლებლო პროექტს სრულიად უსასყიდლოდ ავითარებდნენ მოხალისეები. 2015 წელს გერმანიის ნევროლოგიური საზოგადოების DGN პრეზიდენტმა, პროფესორმა რალფ გოლდმა, CEO ექიმმა თომას თიკოტერმა და სრულიად საბჭომ მხარი დაუჭირეს ამ პროექტს. თავდაპირველად მომზადდა ინგლისური ვერსია ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში წასვლით დაინტერესებული პირებისთვის, რომელთაც ესაჭიროებოდათ სამედიცინო ინგლისურის კარგი ცოდნა.

წიგნში გაზიარებულია ნევროლოგიური გასინჯვის საფუძვლები, ზოგიერთ საკითხში კი ასევე სიღრმისეული ცოდნაც თუ როგორ უნდა შეფასდეს პაციენტი **ნევროლოგიურად იქნება ეს პალატასა, თუ გადაუდებელი დახმარების** განყოფილებაში. სახელმძღვანელო შეიცავს 12 თავს, დაწყებული კრანიული ნერვების შეფასებით, დასრულებული უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტის გასინჯვით. E-book ის სტრუქტურა **100 ზე მეტი ვიდეოს, 90 სურათის და 7 ცხრილის მეშვეობით იძლევა პაციენტის გასინჯვის ტექნიკის და** დაავადებების ტიპური სურათის წარმოჩენის საშუალებას. მე-12 თავში წარმოდგენილია მასალა ზოგიერთი მწვავე ფსიქიატრული დაავადების შესაფასებლად, ვინაიდან მსგავსი პრობლემის მქონე პაციენტი პრაქტიკული მოღვაწეობის განმავლობაში ნებისმიერ ნევროლოგს ასევე სხვა სპეციალობის ექიმს შეიძლება შეხვდეს.

e-book ხელმისაწვდომი გახდა ევროპის ყველა ქვეყანაში ევროპის ნევროლოგთა აკადემიის **(EAN)** და ამჯერად სამედიცინო სპეციალობების ევროპის კავშირის **(UEMS)** საშუალებით. მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია სწორედ მათი ვებგვერდებიდან. e-book უფასოდ გადაეცათ სამედიცინო სკოლების და უნივერსიტეტების საგანმანათლებლო დეპარტამენტებს. ყოველი განახლებული გამოცემა კვლავ უფასოდ ანაცვლებს წინამორბედს.

e-Book-ის გამოცემები სხვადასხვა ენაზე

2016-2021 წლებში ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი თარგმანები:

გერმანული (გერმანიაში, ავსტრიას, შვეიცარიაში) პორტუგალიური, იტალიური (შვეიცარია, იტალია) თურქული და ახლა უკვე ქართული.

წიგნის ავტორი კლაუს ვიქტორ ტოიკა